საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1277

24/08/2021

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეღვანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (550860 m^3/წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეღვანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (550860 m^3/წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი - ჭაბურღილი, მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სალიცენზიო ობიექტის კოორდინატებია: X - 353982, Y – 4646755. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 550 მეტრზე. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მდ. ლეღვანურა) საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია 50 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი - 425 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით წიაღითსარგებლობის ობიექტი მიეკუთვნება ნაპრალური წყლების აჭარა-იმერეთის წყალწნევიან სისტემას. ნალექების სიმძლავრე აღემატება 120-320 მეტრს. სალიცენზიო ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ცარცული ასაკის შრეებრივი კირქვები, მერგელები და მერგელოვანი კირქვები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია მეოთხეული დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას, ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

ქიმიური შედგენილობის თვალსაზრისით კომპლექსის წყლები აქტიური ცირკულაციის ზონაში ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა, საერთო მინერალიზაციით 1 გ/ლ-მდე. სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათი გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტი შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე. ჭაბურღილის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ვიზუალური შეფასებით წლიურად 550860 m^3/წელიწადში წყლის

მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება და საბადოს ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. ობიექტი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის და მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას. გარემოს დაბინძურება და გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ასევე არ არის მოსალოდნელი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტი განთავსებულია „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტზე (ბორჯომ-ხარაგაული 2 – GE0000059), თუმცა აღნიშნულ ობიექტზე 1960-1970 წლებში მოწყობილია კაპტაჟური ტიპის სათავე ნაგებობა, რომელიც დაბა ხარაგაულის, სოფ. დიდვაკის და სოფ. საღანძილეს მოსახლეობას ამარაგებს სასმელი წყლით. გამომდინარე იქიდან, რომ მოპოვება ხორციელდება უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით და არ არის გათვალისწინებული დამატებითი სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე და არსებულ ჰაბიტატებსა, თუ სახეობებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეღვანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (550860 მ3 /წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეღვანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (550860 $მ^3$/წელიწადში) სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი